GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

ტურიზმის გამოწვევები 2020 წლის II ნახევარში

ივნისი 2020

პრეზენტაციის შინაარსი

1 Covid-19-ის გავლენა ტურიზმზე გლობალურად

2 სხვადასხვა ქვეყნების ანტიკრიზისული გეგმები

3 საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის გახსნა და საჭიროებები

4 საქართველოს შიდა ტურიზმის ანალიზი

5 საქართველოს შემომავალი ტურისტული ბაზრების ანალიზი

6 დანართი

ძირითადი მიგნებები

COVID-19-ის შედეგად მსოფლიოში ტურისტების რაოდენობა მინიმუმ 58%-ით შემცირდება 2020 წელს, რაც ინდუსტრიისთვის რეკორდული ვარდნაა

„ტურისტული ბუშტები“ - მსგავსი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ქვეყნები ერთმანეთთან ეტაპობრივად ხსნიან საზღვრებს. პირველ ეტაპზე, საქართველოს ტურისტულ ბუშტში ქვეყანათა მხოლოდ მცირე (ვიზიტორების 6%) რაოდენობა მოხვდება

საბაზისო სცენარით, 2020 წელს საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში წლიურად 65%-ით შემცირდება და დაახლოებით იგივე დონის შემოსავლების კლებაა მოსალოდნელი. ტურისტული ზონებიდან ყველაზე დიდი ზიანი აჭარას, მცხეთა-მთიანეთს და თბილისს მიადგება

2021 წელს გაჯანსაღების ტემპი Covid-19-ის ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული

საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის გამოკითხვა - მოლოდინები პესიმისტურია და სექტორი ხანგრძლივი კრიზისისთვის ემზადება. ვიზიტორთა მოსალოდნელი კლების გამო სასტუმროები განახლებულ სტრატეგიას ამზადებენ, თუმცა გამოკითხვის მომენტში ფასების მკვეთრად შემცირებას არ გეგმავდნენ

შიდა ტურიზმი - მნიშვნელოვანია კრიზისის შესამსუბუქებლად, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი ტურისტების წილი სასტუმროებში მხოლოდ 26%-ია. შიდა ტურიზმს დაეხმარება ის ფაქტი, რომ ქართველების საზღვარგარეთ მოგზაურობა შეზღუდული იქნება (ქართველმა ტურისტებმა საზღვარგარეთ 2.1 მლრდ ლარი დახარჯეს 2019 წელს)

მთავრობის დახმარება - 200 მილიონი ლარის ანტიკრიზისული პაკეტი. ჩვენი შეფასებით ეს მხარდაჭერა არასაკმარისია კრიზისის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გათვალისწინებით. სექტორისთვის ყველაზე პრობლემატური საბანკო ვალდებულებების მომსახურებაა. ჩვენი შეფასებით, სექტორი სულ მცირე 1 წლის განმავლობაში საჭიროებს საგადასახადო და საბანკო ვალდებულებების შემსუბუქებას

მთავრობის მიერ ტურიზმის მხარდაჭერის პაკეტის ღონისძიებები სხვა ქვეყნების მსგავსია, თუმცა ერთი გამონაკლისია - საქართველოში არ მომხდარა შიდა ტურიზმის სტიმულირება

პოსტ-კრიზისულ პერიოდში მოსალოდნელია ტურისტების ეტაპობრივი დაბრუნება. პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს მეზობელ ქვეყნებზე, საიდანაც ვიზიტორების უმეტესობა საქართველოს საკუთარი ავტომობილით სტუმრობს

2020 წელს მსოფლიოში ტურისტების რაოდენობა მინიმუმ 58%-ით შემცირდება

საერთაშორისო ტურისტების დინამიკა, მლნ ტურისტი



2020 წლის პროგნოზი

სცენარი 1 (-58% წ/წ) - ივლისიდან თანდათანობით იხსნება საზღვრები და მსუბუქდება სამოგზაურო შეზღუდვები

სცენარი 2 (-70% წ/წ) - სექტემბრიდან თანდათანობით იხსნება საზღვრები და მსუბუქდება სამოგზაურო შეზღუდვები

სცენარი 3 (-78% წ/წ) - დეკემბრიდან თანდათანობით იხსნება საზღვრები და მსუბუქდება სამოგზაურო შეზღუდვები

საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, მლრდ დოლარი



2020 წლის პროგნოზი

სცენარი 1 (-62% წ/წ) - ივლისიდან თანდათანობით იხსნება საზღვრები და მსუბუქდება სამოგზაურო შეზღუდვები

სცენარი 2 (-73% წ/წ) - სექტემბრიდან თანდათანობით იხსნება საზღვრები და მსუბუქდება სამოგზაურო შეზღუდვები

სცენარი 3 (-79% წ/წ) - დეკემბრიდან თანდათანობით იხსნება საზღვრები და მსუბუქდება სამოგზაურო შეზღუდვები

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

ტურიზმის სექტორი წინა კრიზისების დაძლევას 10-20 თვეში ახერხებდა, თუმცა COVID-19 განსხვავებული შემთხვევაა

კრიზისების ეფექტი ტურიზმის დინამიკაზე

	11 სექტემბრის ტერაქტი, 2001	SARS ეპიდემია, 2003	მსოფლიო ფინანსური კრიზისი, 2009
ვიზიტორები (ზრდა, %)	0.1%	-0.4%	-4.0%
კრიზისის დასაწყისი	სექტემბერი 2001	მარტი 2003	იანვარი 2009
თვეების რაოდენობა ტურისტული ნაკადების ზრდამდე	5	5	10
თვეების რაოდენობა კრიზისამდელ დონეზე დასაბრუნებლად	14	11	19
შემოსავლები (რეალური ზრდა, %)	-2.0%	-1.7%	-5.4%

ყველაზე დაზარალებული რეგიონები

	11 სექტემბრის ტერაქტი, 2001 ამერიკა	SARS ეპიდემია, 2003 აზია	მსოფლიო ფინანსური კრიზისი, 2009 ევროპა
ვიზიტორები (ზრდა, %)	-5.9%	-9.4%	-5.3%
თვეების რაოდენობა ტურისტული ნაკადების ზრდამდე	12	7	14
თვეების რაოდენობა კრიზისამდელ დონეზე დასაბრუნებლად	42	14	29
შემოსავლები (რეალური ზრდა, %)	-11.1%	-8.1%	-6.7%

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

ის ქვეყნები, რომლის ჯამურ ექსპორტშიც ტურიზმს 20%-ზე მეტი უკავია განსაკუთრებით მოწყვლადია ტურისტული კრიზისის დროს

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი ჯამურ ექსპორტში, 2018



წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი

სხვადასხვა ქვეყნების ანტიკრიზისული გეგმები

2

ქვეყნების მხრიდან სამი ტიპის მიდგომა იკვეთება COVID-19-თან გასამკლავებლად

ადამიანების დაცვა

მაგ: იტალია, იაპონია, კორეა, ნორვეგია, პოლონეთი

- ვიზიტორების ინფორმირება, სამშობლოში დაბრუნებაში დახმარება, ა.შ.
- ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანების ფინანსური მხარდაჭერა

ბიზნესის შენარჩუნება

მაგ: ევროკავშირი, ბრაზილია, ავსტრალია

- ტურიზმში მოღვაწე კომპანიების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ფინანსური მხარდაჭერა, დახმარება ახალი ბაზრების მოძიებაში, სამუშაო პროცესების განახლებაში და ა.შ.

საკოორდინაციო მექანიზმები

მაგ: კანადა, საფრანგეთი, ირლანდია, გაერთიანებული სამეფო

- სპეციალური ჯგუფები Covid-19-ის გავლენის შესაფასებლად და რეაგირების მექანიზმები (მაგ: კერძო სექტორთან კომუნიკაცია, მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება და ა.შ)

ტურიზმის მხარდასაჭერი ღონისძიებები დაანონსდა საქართველოშიც

ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის III ეტაპიანი გეგმა:

I ეტაპი - პირველადი დახმარება დაზარალებულ ბიზნეს სუბიექტებს

- 2020 წლის ნოემბრამდე საშემოსავლო გადასახადის გადავადება (113 მლნ ლარი)
- მცირე ზომის სასტუმროების საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის სუბსიდირება (10 მლნ ლარი)

II ეტაპი - ზრუნვა დასაქმებულებზე

- 6 თვის მანძილზე თვეში 200 ლარის დახმარება უმუშევრად დარჩენილებისთვის
- თვითდასაქმებულებისთვის ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით
- დასაქმებულების შესანარჩუნებლად სახელმწიფო სუბსიდიები დამსაქმებლებისთვის

III ეტაპი - 200 მლნ ლარის დახმარების პაკეტი

- ტურისტული ინდუსტრიისთვის 2020 წლის ქონების გადასახადის გაუქმება (45 მლნ ლარი)
- საშემოსავლო გადასახადის გადავადება 2020 წლის ბოლომდე (90 მლნ ლარი)
- 20 მლნ ლარამდე ბრუნვის მქონე განთავსების საშუალებებისთვის 6 თვის პროცენტის სუბსიდირება (60 მლნ ლარი)
- ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერა (5 მლნ ლარი)
- ქვეყნის უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებად პოზიციონირება

ტურიზმის მხარდასაჭერი ღონისძიებები საქართველოსა და სხვა ქვეყნებში მსგავსია, შიდა ტურიზმის სტიმულირების და ვაუჩერების გარდა

	გადასახადების გადავადება/ გაუქმება	სესხებზე ხელმისაწვდომობა/ საკრედიტო გარანტიები	სესხის საპროცენტო ხარჯის დაფინანსება	სესხების გადავადება	ხელფასის სუბსიდირება	უმუშევრად დარჩენილებისთვის ფულადი დახმარება	სასაჩუქრე ვაუჩერები/ პროგრამები შიდა ტურიზმის წასახალისებლად	ტურიზმის პერსონალის დატრენინგება/ გადამზადება	ჯავშნის ღირებულების ვაუჩერები ტურისტების შესანარჩუნებლად
საქართველო	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓	
ხორვატია	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓
პორტუგალია	✓	✓	✓	✓	✓			✓	✓
თურქეთი	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓	
ჩეხეთი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
მონტენეგრო	✓	✓	✓	✓	✓	✓			
ლიტვა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓
ფილიპინები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
პოლონეთი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓
ავსტრალია	✓	✓	✓	✓	✓		✓		✓
კოლუმბია	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓	
ისლანდია	✓	✓	✓		✓	✓	✓		✓
ავსტრია	✓	✓	✓	✓	✓	✓			
ბელგია	✓	✓		✓	✓	✓			
დანია	✓	✓	✓	✓	✓	✓			✓

წყარო: გალტ & თაგარტი

სასტუმროების გამოკითხვა - ყველაზე კრიტიკული პრობლემა საბანკო სესხების მომსახურებაა

გამოკითხვა: შეგექმნებათ თუ არა პრობლემა ვალდებულებების ნაწილში?



გამოკითხვა: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით?



წყარო: გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის ივნისის პირველ კვირაში და მონაწილეობა მიიღო 150-მდე სასტუმრომ

კრიზისის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სექტორი სულ მცირე 1 წლის განმავლობაში საჭიროებს საგადასახადო და საბანკო ვალდებულებების შემსუბუქებას

სასტუმროებსა და რესტორნებზე გაცემული სესხები, მლრდ ლარი



გაცემული სესხების ნაშთი

1.7 მლრდ ლარი

1 წლის მანძილზე გადასახდელი პროცენტი

115 მლნ ლარი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის გახსნა და საჭიროებები

3

საქართველომ პანდემიის დაწყებამდე მიიღო გარკვეული ზომები, რომელიც გამკაცრდა ვირუსის დაფიქსირების შემდეგ

ეპიდემიოლოგიური ქრონოლოგია საქართველოში

29 იანვარი — შეწყდა საჰაერო მიმოსვლა ჩინეთთან

24 თებერვალი — შეწყდა ყველა ტიპის მიმოსვლა ირანთან

26 თებერვალი — Covid-19-ის პირველი დადასტურებული შემთხვევა

4 მარტი — შეწყდა ყველა ტიპის მიმოსვლა იტალიასთან

18 მარტი — ჩაიკეტა საზღვრები

21 მარტი — გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა

31 მარტი — გამოცხადდა საყოველთაო კარანტინი

3 აპრილი — გამოცხადდა კომენდანტის საათი

14 აპრილი — გახანგრძლივდა საგანგებო მდგომარეობა

27 აპრილი — მოიხსნა შეზღუდვების პირველი ნაწილი

7 მაისი — დაანონსდა ტურიზმის მხარდაჭერის პაკეტი

21 მაისი — დასრულდა საგანგებო მდგომარეობა

8 ივნისი — გაიხსნა სასტუმროები და რესტორნები

1 ივლისი — იხსნება საზღვრები რიგ ქვეყნებთან

შეზღუდვების და დროული რეაგირების წყალობით საქართველოში მდგომარეობა მკვეთრად დასტაბილურებულია

ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა საქართველოში



წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
შენიშვნა: 17/06/2020-ის მდგომარეობით

მსოფლიოში მკვიდრდება „ტურისტული ბუშტების“ პრაქტიკა, როცა მსგავსი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ქვეყნები ერთმანეთთან ხსნიან საზღვრებს

საქართველოში ვიზიტორების მიხედვით ტოპ-25 ქვეყანაში COVID-19-ის შემთხვევები 100,000 მოსახლეზე



წყარო: ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი
შენიშვნა: 17/06/2020 მდგომარეობით

პირველ ეტაპზე, საქართველოს სამოგზაურო ბუშტში ქვეყანათა მხოლოდ მცირე რაოდენობა მოხვდება

ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, ტოპ-25

	წილი ვიზიტორებში	წილი შემოსავლებში	Covid-19-ს შემთხვევები 100,000 მოსახლეზე	ბოლო 2 კვირის წილი ჯამურ შემთხვევებში	საზღვრის გახსნა 1 ივლისიდან
აზერბაიჯანი	19.8%	7.1%	105	45%	☒
სომხეთი	17.7%	9.4%	609	44%	☒
რუსეთი	19.0%	22.2%	379	23%	☒
თურქეთი	15.0%	12.6%	215	8%	?
საქართველო (არარეზიდენტები)	6.3%	10.6%	X	X	-
ისრაელი	2.7%	4.9%	214	11%	?
უკრაინა	2.7%	4.4%	76	23%	☒
ირანი	1.8%	3.5%	229	19%	☒
ყაზახეთი	1.3%	2.2%	83	24%	☒
პოლონეთი	1.1%	1.8%	80	19%	?
საუდის არაბეთი	1.0%	3.2%	392	34%	☒
გერმანია	1.2%	1.9%	225	3%	☑
ბელარუსი	0.9%	1.1%	586	21%	☒
ჩინეთი	0.6%	1.1%	6	0%	☑
აშშ	0.6%	2.1%	667	14%	?
ინდოეთი	0.7%	1.6%	26	42%	☒
გაერთიანებული სამეფო	0.5%	1.1%	439	7%	☑
საფრანგეთი	0.4%	0.7%	242	3%	☑
ნიდერლანდები	0.3%	0.5%	287	5%	☑
ქუვეითი	0.3%	0.6%	866	24%	☒
საბერძნეთი	0.3%	0.3%	30	7%	☑
იტალია	0.3%	0.5%	393	2%	☑
ლიეტუვა	0.3%	0.4%	65	5%	☑
ფილიპინები	0.3%	0.7%	25	29%	☒
ლატვია	0.3%	0.4%	59	2%	☑
ესტონეთი	0.2%	0.3%	149	5%	☑
სხვები	4.7%	7.8%	105		

კლასიფიკატორი

ბოლო 2 კვირის წილი ჯამურ შემთხვევებში

- ☒ >20%
- ? 8-20%
- ☑ <8%

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 17/06/2020 მდგომარეობით

ამჟამინდელი მწვანე ზონების ქვეყნების წილი ჯამურ ვიზიტორებში მხოლოდ 6%-ს შეადგენდა 2019 წლის II ნახევარში

საზღვრების გახსნის სტრატეგია ქვეყნების მიხედვით



⚠ მიუხედავად საზღვრების გახსნისა ნაკლებად სავარაუდოა ტურისტთა დიდი ნაკადები

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტი

საქართველოს არარეზიდენტმა მოქალაქეებმა ვიზიტორების 5.8% შეადგინა 2019 წლის II ნახევარში და მათი რაოდენობა 2020 წელს შედარებით ნაკლებად დაიკლებს

საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების ვიზიტები წლების მიხედვით



- საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების ვიზიტები მცირედით, მაგრამ სტაბილურად იზრდებოდა ბოლო წლების განმავლობაში
- საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების ვიზიტების უმრავლესობა ხორციელდება ზაფხულის სეზონის განმავლობაში
- ფრენების აღდგენის შემთხვევაში, საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების ვიზიტების შემცირება შედარებით ნაკლები ტემპითაა მოსალოდნელი

საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების ვიზიტები თვეების მიხედვით



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2020 წელს საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა საბაზისო სცენარით 65%-ით შემცირდება, რაც სექტორისთვის 2.1 მლრდ მლრდ აშშ დოლარის დანაკარგია

საერთაშორისო ვიზიტორების დინამიკა საქართველოში, მლნ ვიზიტორი



საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, მლრდ დოლარი



2020 წლის პროგნოზი

საბაზისო სცენარი (-65% წ/წ ვიზიტორები, -63% წ/წ შემოსავლები) - ივლისიდან იხსნება საზღვრები რამდენიმე ქვეყანასთან, ხოლო სექტემბრიდან ქვეყნების რიცხვი ფართოვდება (მეზობლების ჩათვლით)

ოპტიმისტური სცენარი (-55% წ/წ ვიზიტორები, -50% წ/წ შემოსავლები) - ივლისიდან იხსნება საზღვრები რამდენიმე ქვეყანასთან, ხოლო სექტემბრიდან ქვეყნების უმეტესობასთან

პესიმისტური სცენარი (-77% წ/წ ვიზიტორები, -76% წ/წ შემოსავლები) - ივლისიდან იხსნება საზღვრები რამდენიმე ქვეყანასთან და წლის ბოლომდე ამ რიცხვს ქვეყნების მცირე რაოდენობა ემატება

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი

2020 წლის აპრილიდან საქართველოში მოგზაურობისადმი ინტერესმა მატება დაიწყო, რაც მოთხოვნის აღდგენის პირველი ინდიკატორია

საქართველოში მოგზაურობის ინტერესის ინდექსი

წყარო: გუგლი, გალტ & თაგარტი

სექტორი ხანგრძლივი კრიზისისა და ვიზიტორთა მკვეთრი კლებისთვის ემზადება

გამოკითხვა: რამდენად ხანგრძლივი იქნება COVID-19-ის უარყოფითი გავლენა თქვენს ბიზნესზე?



გამოკითხვა: როგორი მოლოდინი გაქვთ 2020 წლის II ნახევარში სტუმრების რაოდენობასთან დაკავშირებით?



წყარო: გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის ივნისის პირველ კვირაში და მონაწილეობა მიიღო 150-მდე სასტუმრომ

ვიზიტორთა მოსალოდნელი კლების გამო სასტუმროები განახლებული სტრატეგიას ამზადებენ, თუმცა გამოკითხვის მომენტში ფასების მკვეთრ შემცირებას არ გეგმავდნენ

გამოკითხვა: რა არის თქვენი ძირითადი სტრატეგია COVID-19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად?



გამოკითხვა: აპირებთ თუ არა ფასების შემცირებას?



წყარო: გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის ივნისის პირველ კვირაში და მონაწილეობა მიიღო 150-მდე სასტუმრომ

საზღვრების გახსნისას აქტუალური გახდება უსაფრთხოების კონტროლი, რაშიც სხვა ტურისტული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი იქნება

საბერძნეთი

- ტურისტულ მიმართულებებზე საკარანტინო სივრცეების, სატესტო ლაბორატორიების მოწყობა, ექიმების გამოყოფა
- სანაპიროებზე დრონების მეშვეობით სოციალური დისტანცირების კონტროლი
- Covid-19 ტესტირება აეროპორტში
- ტემპერატურის პერიოდული შემოწმება სასტუმროებსა და რესტორნებში

ეგვიპტე

- სასტუმროებში უსაფრთხოების ნორმების შემოწმება
- სასტუმროებს 25%-იანი დატვირთულობით ოპერირების შესაძლებლობა
- კურორტებსა და სასტუმროებს ჯანმრთელობის სერტიფიკატის ქონის ვალდებულება
- ტურისტების Covid-19-ზე ტესტირება
- შეზღუდვები სასტუმროებს, მაგ: ოთახში მაქსიმუმ 2 უფროსისა და 1 ბავშვის განთავსება, ექიმების ყოლის აუცილებლობა და ა.შ

ჩეხეთი

- შემომყვანი ტურისტული ქვეყნების კლასიფიცირება ე.წ ფერადი სისტემის (color-coded system) მიხედვით. მაგ: მწვანე ქვეყნები - ავსტრია, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, სადაც მიმოსვლა შესაძლებელია ტესტირების გარეშე; სტაფილოსფერი ქვეყნები - საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, საიდანაც ჩეხეთში შესვლისას ტესტირების გავლაა აუცილებელი, ჩეხეთიდან გასვლისას კი არა; წითელი ქვეყნები - ბრიტანეთი, შვედეთი, სადაც ორივე მხარეს მხოლოდ ტესტის გავლის შემდეგ შეუძლია მიმოსვლა

იაპონია

- საზღვრების გახსნა ჯერჯერობით მხოლოდ ტაილანდის, ვიეტნამის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ტურისტებისთვის
- შეზღუდვები ტურისტებისთვის განთავსების საშუალების არჩევისას, ადგილობრივი ტრანსპორტის გამოყენებისას და ა.შ

ისლანდია

- Covid-19-ის ტესტების მომარაგება
- ვიზიტორებისთვის ჯანმრთელობის სერტიფიკატის არ ქონის შემთხვევაში ტესტის გაკეთების შესაძლებლობა ან 2 კვირიანი კარანტინი

4

მიდა ტურიზმის ანალიზი

შიდა ტურიზმი ერთ-ერთი საშუალებაა კრიზისის შესამსუბუქებლად, მაგრამ საქართველოში მისი წილი დაბალია

ადგილობრივ სტუმართა წილი სასტუმროებში, 2018



სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საკმაოდ ლიმიტირებულია შიდა ტურიზმის მასშტაბები, რადგან ადგილობრივთა დიდი ნაწილი სასტუმროებს არ სტუმრობს და კერძო სახლებს ქირაობს, რაც გამოკითხვაშიც იკვეთება

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, საქართველოს სტატისტიკის სამსახური, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: საქართველოს შემთხვევაში აღებულია 2019 წლის მონაცემები

ადგილობრივი ტურისტების წილი სასტუმროებში სტაბილურად მცირდებოდა და სექტორი უცხოელ ტურისტებზე მეტად დამოკიდებული ხდებოდა

სტუმართა რაოდენობა საქართველოს სასტუმროებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური, გალტ & თაგარტი

შიდა ტურისტები მოგზაურობისას სასტუმროში დარჩენას ნაკლებად ანიჭებენ უპირატესობას, განსაკუთრებით თბილისში

გამოკითხვა: რა წილი ეჭირათ შიდა ტურისტებს თქვენს ჯავშნებში COVID-19-მდე?





წყარო: გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის ივნისის პირველ კვირაში და მონაწილეობა მიიღო 150-მდე სასტუმრომ

ზოგიერთ ტურისტულ რეგიონში კრიზისის ეფექტი უფრო მწვავე იქნება, რადგან მეტადაა დამოკიდებული უცხოელ ტურისტებზე

ადგილობრივი სტუმრების წილი სასტუმროებში, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური, გალტ & თაგარტი

სასტუმროები დიდ მოლოდინს არ ამყარებენ შიდა ტურიზმზე, განსაკუთრებით თბილისში

გამოკითხვა: თქვენი აზრით, გაიზრდება თუ არა 2020 წლის II ნახევარში შიდა ტურისტების ჯავშნები?





წყარო: გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის ივნისის პირველ კვირაში და მონაწილეობა მიიღო 150-მდე სასტუმრომ

შიდა ტურიზმის მაქსიმალური უტილიზაციისთვის სტიმულირება უკვე დაიწყო ბევრმა ტურისტულმა ქვეყანამ

სხვადასხვა ქვეყნის ღონისძიებები შიდა ტურიზმის სტიმულირებისთვის

ქვეყანა	შიდა ტურიზმის სტიმულირების პროგრამები
მალაიზია	113 მლნ აშშ დოლარი შიდა ტურისტების სამოგზაურო ფასდაკლებებისთვის
ფილიპინები	8.2 მლნ აშშ დოლარი შიდა ტურიზმის კამპანიის დასაფინანსებლად
ავსტრალია	12 მლნ აშშ დოლარი შიდა ტურიზმის წამახალისებელი კამპანიის „Holiday Here This Year“- ის ფარგლებში
ვიეტნამი	პროგრამა „Vietnamese people travel to Vietnam destinations“, შიდა ტურისტების მოთხოვნებზე მორგებული ტურისტული პროდუქტები, 50%-მდე ფასდაკლებები ტურისტული ორგანიზაციებისგან
ტაილანდი	We love Thailand კამპანია, ადგილობრივი ტურისტული მიმართულებებისა და პროდუქტების პოპულარიზაციისთვის
ჩეხეთი, ხორვატია	სასაჩუქრე ვაუჩერები ტურისტულ ლოკაციებზე გამოსაყენებლად
იაპონია	მგზავრობის ხარჯების სუბსიდირება დღეში მაქსიმუმ 185 აშშ დოლარის ოდენობით
კორეა	1 მლნ ცალი ფასდაკლების ვაუჩერი განთავსების საშუალებებზე დაახლ. $32 ფასდაკლებით
ეგვიპტე	მაისის დასაწყისში სასტუმროებს მიეცათ შიდა ტურისტების მიღების საშუალება, სასტუმროებმა ივნისამდე 25%-იანი დატვირთულობით უნდა იმუშაონ, ივნისიდან 50%-იანი დატვირთულობით
იტალია	დასვენების ხარჯების სუბსიდირება ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტებისთვის. 85 მლნ აშშ დოლარი ვაუჩერებისა და ფასდაკლების ბარათებისთვის
დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი	აქტიური მარკეტინგული კამპანიები შიდა ტურიზმის წასახალისებლად

წყარო: გალტ & თაგარტი

2019 წელს ქართველმა ტურისტებმა საზღვარგარეთ 2.1 მლრდ ლარი დახარჯეს. შიდა ტურიზმს დაეხმარება ის ფაქტი, რომ ქართველების საზღვარგარეთ მოგზაურობა შეზღუდული იქნება

ქართველი ტურისტების დანახარჯები საზღვარგარეთ, 2019



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს შემომავალი ტურისტული ბაზრების ანალიზი

5

კრიზისის დროს მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების ტურისტები, რომელთა უმეტესობა საქართველოს საკუთარი ავტომობილით სტუმრობს

ტურისტების რიცხვი თვეების მიხედვით, მლნ ტურისტი



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტი

აზერბაიჯანელი და სომეხი ტურისტები ძირითადად საქართველოს სტუმრობენ და პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველო შესაძლოა უფრო მიმზიდველი გახდეს მათთვის

საქართველოს წილი აზერბაიჯანელი ტურისტების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში, 2018



საქართველოს წილი სომეხი ტურისტების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში, 2018



წყარო: მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

თურქი ტურისტებისთვის საქართველო მეორე ყველაზე მონახულებადი ქვეყანაა

თურქეთიდან გამავალი ტურისტების რაოდენობა ტურისტული მიმართულების მიხედვით, 2019, '000 ტურისტი

	პროცენტული წილი	საშუალო ზრდა 2012-2019
ბულგარეთი	11%	7%
საქართველო	10%	8%
საბერძნეთი	8%	8%
ირანი	4%	8%
გერმანია	4%	1%
აზერბაიჯანი	3%	-6%
იტალია	2%	-2%
უკრაინა	2%	18%
აშშ	1%	-2%
ავსტრია	1%	3%
საფრანგეთი	1%	-0.2%
რუსეთი	1%	-4%
სხვა	51%	9%

რუსეთიდან გამავალი ტურისტების რაოდენობა ტურისტული მიმართულების მიხედვით, '000 ტურისტი



წყარო: თურქსტატი, OECD, გალტ & თაგარტი

გარდა მეზობლებისა აუცილებელია ახალი ბაზრების ათვისებაც - ჩინელი ტურისტების მხრიდან იზრდება ინტერესი საქართველოს მიმართ

ჩინელი ტურისტების რაოდენობა ტოპ-10 ტურისტული მიმართულების მიხედვით 2018 წელს, მლნ ტურისტი



ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ტურისტული ბაზარია. ჩინელი ტურისტების უმრავლესობა აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონს სტუმრობს, თუმცა იზრდება ინტერესი განვითარებადი ტურისტული ქვეყნების მიმართ.

ჩინეთში ყველაზე ხშირად გამოყენებადი ონლაინ სამგზავრო-საინფორმაციო პორტალის Mafengwo.com-ის მიხედვით, 2018 წელს ჩინელი ტურისტების განსაკუთრებული ყურადღება ახალმა ტურისტულმა მიმართულებებმა მიიპყრო, როგორიცაა: საქართველო, თურქეთი, სერბეთი, კვიპროსი, ბაჰამის კუნძულები და ხორვატია.

ჩინეთიდან ვიზიტორების ზრდის ტრენდი საქართველოში 2014-19 წლებში



წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია
შენიშვნა: მონაცემები არ მოიცავს ჰონგ კონგს, მაკაოსა და ტაივანს

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ჩინელი ტურისტების უდიდესი ნაწილი დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე პირია, რომლისთვისაც ძირითადად იაფი ტურისტული ბაზრებია ხელმისაწვდომი

ჩინელი ტურისტების ყოველთვიური შემოსავლის დონის მიხედვით, 2018



ჩინელი ტურისტების საშუალო ხარჯვა, 2018



წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

დანართი

6

ხორვატია - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან დაახლოებით 20%-ია

ფისკალური/მონეტარული და სხვა სახის ღონისძიებები სექტორის მხარდასაჭერად

- სესხების 3 თვით გადავადება, ESIF* მიკრო და მცირე სესხებზე 2020 წლის ბოლომდე
- სესხები მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, სესხებზე სახელმწიფო გარანტიები
- გრანტები თანამშრომლებისთვის, მარტში - 350 ევრო, აპრილსა და მაისში - 430 ევრო
- უმუშევრად დარჩენილებისთვის 3 თვე ხელფასის 60%-ის, მომდევნო პერიოდში 30%-ის ანაზღაურება
- დაზარალებულ ბიზნესს მთავრობის დახმარებით შეუძლია მოითხოვოს ახალი სესხის აღება, არსებულის რესტრუქტურიზება ან გადავადება
- გადასახადების 6 თვით გადავადება (დღგ-ს გარდა), გრანტების გადასახადებისგან გათავისუფლება, ქირის გადავადება

ღონისძიებები ტურისტების მოსაზიდად

- Cro-card* შიდა ტურიზმის წასახალისებლად
- ვაუჩერები დაჯავშნილ პაკეტებზე, რომლის საშუალებითაც 2020 წლის 1 მარტის შემდეგ დაგეგმილი ტურების გადავადება ან ანაზღაურებაა შესაძლებელი

* Cro-Card პანდემიამდე შეიქმნა, დაახლოებით $350 დეპოზიტიან ბარათს დამსაქმებელი სთავაზობს დასაქმებულს, ბარათის გამოყენება ზღვისპირა კურორტების რესტორნებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში იყო შესაძლებელი. პანდემიის შემდეგ ხორვატია გეგმავს ამ ბარათს დანიშნულება შეუცვალოს და მისი გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით იყოს შესაძლებელი. ბარათზე დადებული დეპოზიტი სახელმწიფოს მხრიდან არ იბეგრება

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, OECD, გალტ & თაგარტი
შენიშვნა:* ESIF (European Structural and Investment Funds)– ევროკავშირის სესხები წევრი ქვეყნებისთვის

პორტუგალია - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან დაახლოებით 10%-ია

ფისკალური/მონეტარული და სხვა სახის ღონისძიებები სექტორის მხარდასაჭერად

- 900 მლნ ევრო განთავსების საშუალებების მხარდასაჭერად (აქედან 300 მლნ ევრო მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის)
- 200 მლნ ევრო ტურისტული სააგენტოებისთვის, სარეკრეაციო სერვისების ორგანიზატორებისთვის (აქედან 75 მლნ ევრო მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის)
- 600 მლნ ევრო რესტორნებისთვის (აქედან 270 მლნ ევრო მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის)
- ფინანსური მხარდაჭერა სტარტაპებისთვის, ვაუჩერებით, მეზანინით და ა.შ
- სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებზე 6 თვიანი შეღავათი, იგეგმება გახანგრძლივება
- კომპანიების მხარდაჭერა თანამშრომლების შესანარჩუნებლად ანაზღაურების 2/3-ის თანადაფინანსებით
- ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებული ონლაინ ტრენინგ-კურსები პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად
- 2020 წელს დაგეგმილი და გაუქმებული ღონისძიებებისთვის ხარჯების დაფინანსება

ღონისძიებები ტურისტების მოსაზიდად

- „არ გააუქმო, გადადე“ კამპანია - პორტუგალია ტურისტებს ჯავშნების არ გაუქმების სანაცვლოდ ჯავშნის ღირებულების ვაუჩერებს სთავაზობს, რომლის გამოყენება 2022 წლამდეა შესაძლებელი, გამოუყენებლობის შემთხვევაში მომხმარებელს თანხა უნაზღაურდება

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, OECD, გალტ & თაგარტი

თურქეთი - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან დაახლოებით 5%-ია

ფისკალური/მონეტარული და სხვა სახის ღონისძიებები სექტორის მხარდასაჭერად

- 15.4 მლრდ აშშ დოლარის ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი
- კომპანიების დღგ-ს გადასახადისგან 6 თვით გათავისუფლება
- დაზარალებული კომპანიებისთვის საკრედიტო შენატანების 3 თვით გადავადება, სესხებზე ხელმისაწვდომობა
- ქვეყნის შიდა ფრენებზე დღგ-ს 18%-დან 1%-მდე შემცირება
- The Credit Guarantee Fund ლიმიტის გაორმაგება (7 მლრდ-მდე აშშ დოლარი), საშუალო და მცირე ზომის კომპანიებისა და მოსახლეობის ხელსაყრელ პირობებში დაკრედიტებისთვის
- წამყვან ავიაკომპანიებთან (THY, Pegasus, AnadoluJet) ტურისტულ კომპანიებს კვოტების ვერ შესრულების ან ავიაბილეთების გამოუყენებლობის (no-show) გამო ჯარიმები არ დაეკისრებათ
- ბინადრობის გადასახადის (accommodation tax) 2020 წლის ნოემბრამდე გადავადება

ღონისძიებები ტურისტების მოსაზიდად

- ‘Coronavirus-free’ სერტიფიკატები ტურისტული მიმართულებებისთვის, სადაც ვირუსი არ დაფიქსირებულა და უსაფრთხოების ნორმები დაცულია
- სასტუმროების, რესტორნების, აეროპორტებისა და სხვა ტურისტული მიმართულებების ინტერიერის შეცვლა ისე, რომ სოციალური დისტანცირებისა და უსაფრთხოების ნორმები დაცული იყოს
- პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებით, თურქეთისთვის სამედიცინო ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება, რისი პოტენციალიც Covid-19-მა კიდევ უფრო განამტკიცა

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, OECD, გალტ & თაგარტი

ჩეხეთი - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან დაახლოებით 3%-ია

ფისკალური/მონეტარული და სხვა სახის ღონისძიებები სექტორის მხარდასაჭერად

- Covid I პროგრამა (180 მლნ ევრო) - 1 წლიანი უპროცენტო სესხები დაზარალებული ინდ. მეწარმეებისთვისა და მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის
- Covid II პროგრამა (180 მლნ ევრო) - ინდ. მეწარმეებისა და მცირე და საშუალო ზომის კომპანიების სესხებზე 80%-მდე გარანტიები
- Covid III პროგრამა (5 მლრდ ევრო) - ყველა ზომის კომპანიებისთვის სესხებზე 80%-90%-იანი გარანტიები
- 22 მლნ ევრო პრაღის მცირე და საშუალო ზომის კომპანიების დასაფინანსებლად
- 42 მლნ ევრო ხელოვნების მხარდასაჭერად
- საგადასახადო შეღავათები (ჯარიმების გაუქმება, ადმინისტრაციული გადასახადების გაუქმება, საგადასახადო დეკლარაციის გადავადება და ა.შ)
- დაზარალებული კომპანიებისთვის თანამშრომლების ხელფასის 60%-დან 100%-მდე სუბსიდირება, სტარტაპებისთვის თანამშრომლების ხელფასის 30%-80% სუბსიდირება
- თვითდასაქმებულებს კარანტინში გატარებული ყოველი დღის 17 ევროთი ანაზღაურება. ერთჯერადი დახმარება 1,000 ევროს ოდენობით

ღონისძიებები ტურისტების მოსაზიდად

- დაახლ. 400 აშშ დოლარის სასაჩუქრე ვაუჩერები ადგილობრივებს შიდა ტურიზმის წასახალისებლად, ხორვატიის მსგავსი მოდელით

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, OECD, გალტ & თაგარტი
Covid I, II და III პროგრამები ეხება მთლიანად ეკონომიკას და არა მხოლოდ ტურიზმს, ასევე პრაღისთვის გამოყოფილი 22 მლნ ევრო

მონტენეგრო - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან 22%-ია

ფისკალური/მონეტარული და სხვა სახის ღონისძიებები სექტორის მხარდასაჭერად

- საკრედიტო შენატანების 3 თვით გადავადება
- გამარტივებული სესხები 1.5%-იანი განაკვეთით, სესხის დამტკიცების საკომისიოს გარეშე, თითო ბენეფიციარზე მაქს. 3 მლნ ევროს ოდენობით
- საგადასახადო შეღავათები (მაგ. საშემოსავლო გადასახადების, სოციალური უზრუნველყოფის შენატანების გადავადება და ა.შ)
- აპრილსა და მაისში დაზარალებული კომპანიების თანამშრომლებისთვის მინიმალური ანაზღაურების 50%-70%-ით სუბსიდირება
- უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობისთვის 6 თვის მანძილზე მინიმალური ხელფასის 70%-ით სუბსიდირება
- დაწყებულ კაპიტალურ პროექტებზე მომსახურების ღირებულების წინასწარი ანაზღაურება კონტრაქტორებისთვის და სერვისის მომწოდებლებისთვის
- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე იჯარის გადასახადის 3 თვით გადავადება
- ფინანსთა სამინისტრო განიხილავს დღგ-ს გადასახადისგან განთავისუფლებას მოთხოვნის შემთხვევაში
- ოჯახებისთვის ფინანსური დახმარება ადამიანზე 50 ევროს ოდენობით

ღონისძიებები ტურისტების მოსაზიდად

- ჯერჯერობით ქვეყანას ტურისტების მოსაზიდად კონკრეტული სტრატეგია არ აქვს

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, OECD, გალტ & თაგარტი

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.

კახა სამყურაშვილი
უფროსი ანალიტიკოსი
ksamkurashvili@gt.ge
+995 32 240 11 11 ext. 4298

თათია მამრიკიშვილი
ანალიტიკოსი
tmamrikishvili@gt.ge
+995 32 240 11 11 ext. 4693

კვლევების გასაცნობად ეწვიეთ www.gt.ge

გალტ ენდ თაგარტი (Galt & Taggart)

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge